საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-812

05/10/2018

ქ. თბილისი

შპს „ბათუმის ნავთობტერმინალზე“ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „სიგმატიქსზე“ ნაწილობრივ გადაცემის შესახებ

2018 წლის 20 აგვისტოს სამინისტროს ერთობლივი განცხადებით მომართა შპს „ბათუმის ნავთობტერმინალმა“ და შპს „სიგმატიქსმა“. შპს „ბათუმის ნავთობტერმინალმა“ ითხოვა მასზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ნაწილობრივ გადაცემა შპს „სიგმატიქსზე“ და ამ უკანასკნელმა კი ამ გადაწყვეტილების მიღება (დანართის სახით წარმოდგენილია იჯარის ხელშეკრულება).

სამინისტროს მიერ შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ სახიფათო ნარჩენების გადამუშავების და გაუვნებლების (ნავთობშლამების უტილიზაციის და ნავთობით დაბინძურებული გრუნტის გაწმენდის) ბაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე 2012 წლის 20 მარტს გაცემულია №15 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა. ამავე საქმიანობაზე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად და შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ მომართვის საფუძველზე გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება №2-777 (19.09.2018).

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი უფლებამოსილია, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სრულად ან ნაწილობრივ გადასცეს სხვა პირს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება საქმიანობის არსს, განსაზღვრულ პირობებს ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ნაწილობრივ გადაცემის შემთხვევაში გადაწყვეტილების მფლობელი და პირი, რომელსაც გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცემა, პასუხისმგებელი არიან გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობებისა და მათთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებაზე.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველია გადაწყვეტილების მფლობელისა და მიმღების ერთობლივი განცხადება, ხელშეკრულება ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის ფაქტს. სამინისტრო გარემოსდაცვითი

გადაწყვეტილების გადაცემის თაობაზე განცხადებას იხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომპანიების მიერ წარმოდგენილი იქნა დეტალური ინფორმაცია, რომლის თანახმად, შპს „სიგმატიქსი“ ვალდებულია უზრუნველყოს შპს ,,ბათუმის ნავთობტერმინალში“ არსებული საცავიდან ნავთობშლამების ამოღება და მისი ინსინერაცია. აღნიშნული საქმიანობის განხორციელების მიზნით, შპს ,,სიგმატიქსს“ შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ მიერ იჯარით გადაეცა 800 $მ^2$ ფართობის მიწის ნაკვეთი, რომელიც წარმოადგენს ნავთობშლამების უტილიზაციის და ნავთობით დაბინძურებული გრუნტის გაწმენდის ბაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის გამოყოფილი ტერიტორიის ნაწილს, სადაც შპს ,,სიგმატიქსმა“ უნდა მოაწყოს და ექსპლუატაცია გაუწიოს ნავთობშლამების ინსინერაციის ობიექტს. ობიექტის შემადგენლობაში და შესაბამისად, შპს „სიგმატიქსის“ ვალდებულებაში უნდა შევიდეს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული შემდეგი ინფრასტრუქტურა:

- 200 კგ/სთ წარმადობის ინსინერატორი;
- ფარდული ინსინერატორის ფუნქციონირების პროცესში წარმოქმნილი ნაცრის (ფერფლის) დროებითი განთავსებისათვის;
- ცხავი ნავთობშლამებიდან და ნავთობით დაბინძურებული ნიადაგებიდან მყარი ნაწილაკების მოცილებისათვის;
- რეზერვუარი დიზელის საწვავისათვის.

გარდა აღნიშნულისა, შპს ,,სიგმატიქსი“ ვალდებულია იჯარით აღებულ 800 $მ^2$ ტერიტორიაზე მოწყობილ ნავთობშლამების ინსინერაციის ობიექტი უზრუნველყოს შემდეგი დამხმარე ინფრასტრუქტურით:

- ტექნიკური და ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების სისტემა, რომელიც დაკავშირებული იქნება შპს ,,ბათუმის ნავთობტერმინალის“ შესაბამის ინფრასტრუქტურასთან;
- სასმელი წყლით მომარაგების სისტემა;
- მეხდაცვის სისტემა;
- ნავთობშლამების ინსინერაციის ობიექტის ტერიტორიაზე მოდენილი წვიმის და საწარმოო ჩამდინარე წყლების საკანალიზაციო სისტემა და ნავთობდამჭერი, (საიდანაც ჩამდინარე წყლები, ნორმატიულად გაწმენდის მიზნით, მიწოდებული იქნება შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ ნავთობდამჭერში);
- ელექტრომომარაგების სისტემა;
- საოფისე და საყოფაცხოვრებო კონტეინერული ტიპის ნაგებობები (3 ერთეული).

ნავთობშლამების ინსინერაციის ობიექტის მოწყობის პროცესში ატმოსფერული ჰაერის დაცვის, ზედაპირული და გრუნტის წყლების დაცვის, ნიადაგების დაცვის და წარმოქმნილი ნარჩენების მართვის ღონისძიებები შპს „სიგმატიქსის“ მიერ განხორციელდება ნავთობშლამების უტილიზაციის და ნავთობით დაბინძურებული გრუნტის გაწმენდის ბაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის გზშ-ს ანგარიშის და №15 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების გათვალისწინებით და შპს ,,ბათუმის ნავთობტერმინალის“ ნარჩენების მართვის გეგმის საფუძველზე.

როგორც წერილშია მითითებული, ნავთობშლამების ინსინირაციის ობიექტის

ექსპლუატაციის პროცესში, შპს ,,სიგმატიქსი“, როგორც საქმიანობის ცალკე სუბიექტი, ვალდებული იქნება დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შრომის და ჯანმრთელობის დაცვის, გარემოს დაცვის, ნარჩენების მართვის, სახანძრო და საწარმოო უსაფრთხოების ნორმები და იკისროს პასუხისმგებლობა შესაბამისი მოთხოვნების დარღვევაზე.

შპს ,,სიგმატიქსი“ ვალდებული იქნება შპს ,,ბათუმის ნავთობტერმინალის“ მიერ 2012 წელს სამინისტროში ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი სახიფათო ნარჩენების გადამუშავების და გაუვნებლობის (ნავთობშლამების უტილიზაციის და ნავთობით დაბინძურებული გრუნტის გაწმენდის) ბაზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის საფუძველზე უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი დოკუმენტაციის მომზადება და სამინისტროსთან შეთანხმება.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს ,,სიგმატიქსისთვის“ ნაწილობრივ გადაცემის შემდეგ, შპს ,,ბათუმის ნავთობტერმინალის“ ვალდებულებად დარჩება საწარმოში წარმოქმნილი ნავთობშლამების ახალი მოცულობების განთავსებისათვის და ნავთობით დაბინძურებული გრუნტების გაწმენდისათვის განკუთვნილი და ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული შემდეგი ინფრასტრუქტურის მშენებლობა და ექსპლუატაცია:

- 3600 $მ^3$ ტევადობის რკინა-ბეტონის სამსექციიანი საცავი ნავთობშლამების დროებითი განთავსებისათვის;
- 1000 მ3 მოცულობის რკინა-ბეტონის სარკოფაგი ნაცრის (ფერფლის) განთავსებისათვის;
- ნავთობით დაბინძურებული ნიადაგების და გრუნტების ბიოსარემედიაციო 2 მოედანი;
- ნავთობით დაბინძურებული ნიადაგების და გრუნტების დროებითი დასაწყობების მოედანი;
- ორგანული დანამატების განთავსების მოედანი;
- სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსების საწყობის შენობა;
- კონტეინერული ტიპის შენობა ბიორემედიაციის პროცესის დამხმარე მასალების საწყობის და მინერალური საკვები დანამატების ხსნარების მოსამზადებელი ავზის განთავსებისათვის;
- ტრანსფორმატორი;
- სადრენაჟო არხი ნავთობშლამების საცავების და ბიოსარემედიაციო მოედნების პერიმეტრზე მოდენილი მიწისქვეშა წყლების არინებისათვის;
- 3 ერთეული ჭაბურღილი მიწისქვეშა წყლების ხარისხის მონიტორინგისათვის;
- ნავთობშლამების საცავებთან და ბიოსარემედიაციო მოედნებთან მისასვლელი და შიდა გზების მოწყობა.

გარდა აღნიშნულისა, შპს ,,ბათუმის ნავთობტერმინალი“ ვალდებული იქნება მის პასუხისმგებლობაში არსებული ნავთობშლამების საცავები და ნავთობით დაბინძურებული გრუნტების ბიორემედიაციის მოედნები უზრუნველყოს შემდეგი დამხმარე ინფრასტრუქტურით:

- ტექნიკური და ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების სისტემა;
- სასმელი წყლით მომარაგების სისტემა;

- მეხდაცვის სისტემა;
- ტერიტორიაზე მოდენილი წვიმის და საწარმოო ჩამდინარე წყლების საკანალიზაციო სისტემა;
- ჩამდინარე წყლების ნორმატიულად გაწმენდის ნავთობდამჭერი;
- ელექტრომომარაგების სისტემა.

შპს ,,სიგმატიქსი"-თვის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების შესრულების ვალდებულების ნაწილობრივ გადაცემის შემდეგ, შპს ,,ბათუმის ნავთობტერმინალი", წარმოქმნილი რეალური პირობების გათვალისწინებით, მის პასუხისმგებლობაში დარჩენილი ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციის პროცესში კვლავ ვალდებული დარჩება შეასრულოს 2012 წლის 20 მარტის №15 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობები, გარდა ინსინერატორთან დაკავშირებული საქმიანობისა.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-15 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის" სახიფათო ნარჩენების გადამუშავების და გაუვნებლების (ნავთობშლამების უტილიზაციის და ნავთობით დაბინძურებული გრუნტის გაწმენდის) ბაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ნაწილობრივ გადაეცეს შპს „სიგმატიქსს" ნავთობშლამების ინსინერატორის მოწყობისა და ექსპლუატაციის ნაწილში უვადოდ;
2. შპს „სიგმატიქსმა" ნავთობშლამების ინსინერატორის მოწყობა და ექსპლუატაცია (მათ შორის ნარჩენების მიღება და ტრანსპორტირება) და მასთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს შემდეგი პირობების დაცვით:
   - 2.1 ინსინერატორის მოწყობა და მასთან დაკავშირებული საქმიანობა უზრუნველყოს შპს „ბათუმის ნავთობტერმინალზე" გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით და გზშ-ს ანგარიშით დადგენილი იმ პირობების დაცვით, რაც ეხება ინსინირატორის მოწყობასა და ექსპლუატაციას;
   - 2.2 ექსპლუატაციაში შესვლამდე უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის შემუშავება და სამინისტროსთან შეთანხმება;
   - 2.3 ექსპლუატაციაში შესვლამდე სამინისტროსთან შესათანხმებლად წარმოადგინოს ნარჩენების მართვისა და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმები;
   - 2.4 წარმოდგენილი იქნეს შპს ,,სიგმატიქსის" მიერ ნავთობშლამების ინსინერაციის ობიექტის ტერიტორიაზე მოდენილი წვიმის და საწარმოო ჩამდინარე წყლების შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის" ნავთობდამჭერისთვის მიწოდების თაობაზე კომპანიებს შორის შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც ასახული იქნება

წყალმომარაგებისა და ჩამდინარე წყლების მართვის შესახებ სრული ინფორმაცია;

2.5 შპს „სიგმატიქსმა“ ექსპლუატაციაში შესვლამდე უზრუნველყოს გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის შემუშავება და სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენა;

2.6 შპს „სიგმატიქსი“ ვალდებულია პერიოდულად გააკონტროლოს ხმაურის დონეები და გაატაროს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები (საცხოვრებელი ზონის საზღვართან ხმაურის დონის გადაჭარბების შემთხვევაში მოაწყოს ხმაურჩამხშობი ეკრანები);

3. შპს „ბათუმის ნავთობტერმინალმა“ უზრუნველყოს სახიფათო ნარჩენების გადამუშავების და გაუვნებლების (ნავთობშლამების უტილიზაციის და ნავთობით დაბინძურებული გრუნტის გაწმენდის) ბაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვა გარდა ამ ბრძანების პირველი და მეორე პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა;
4. შპს „ბათუმის ნავთობტერმინალმა“ 2 თვის ვადაში უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის ხელახლა შემუშავება და სამინისტროსთან შეთანხმება განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით.
5. შპს „სიგმატიქსმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
6. ბრძანება გაეგზავნოს შპს „ბათუმის ნავთობტერმინალს“ და შპს „სიგმატიქსს“;
7. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ და შპს „სიგმატიქსის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი